№ H2046

ხელშეკრულება №359/01/56

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

(CPV. 31625300 - გაქურდვის შემთხვევისას ჩართვადი
განგაშის სისტემები)

27.04.2016

ქ. თბილისი *20 აპრილი 2011 წელი*

ერთის მხრივ, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ – დაცვის პოლიციის დეპარტამენტი „მიმწოდებელი“ (შემდგომში წოდებული „მიმწოდებელი“), მისი დაცვის ორგანიზაციის მთავარი სამმართველოს უფროსის ბესიკ ბაჩიაშვილის სახით, ხოლო მეორეს მხრივ სსიპ „საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო“ მისი დირექტორის მოადგილის ბადრი ნიაურის სახით „შემსყიდველი“ (შემდგომში წოდებული „შემსყიდველი“) „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ” ბრძანების მე–3 მუხლის 1–ლი პუნქტის „ა” ქვეპუნქტის შესაბამისად, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. *ხელშეკრულების* საგანი

1.1. „მიმწოდებელი“ უზრუნველყოფს „შემსყიდველის“ ოფისში (ობიექტის) (მის: ქ.თბილისი ალექსიძის ქ.№1, შენობა-ნაგებობა 1, მე-2 სართული) დაცვითი-საგანგაშო სიგნალიზაციის სისტემის მოწყობილობის მოწოდებას, თანმხლები სამონტაჟო მომსახურებით.

1.2. ხელშეკრულების 2.2. პუნქტში მითითებული თანხის გადახდის შემდეგ დანართი N1–ით განსაზღვრული შესყიდვის ობიექტი გადადის შემსყიდველის საკუთრებაში.

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1 შესყიდვის ობიექტის ფასი განისაზღვრება ლარებში.

2.2 შესყიდვის ობიექტის საერთო ღირებულება შეადგენს **3236.37 (სამიათასორას ოცდათექვსმეტი ლარი და 37 თეთრი)** ლარს, ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანამდევი ხარჯების და ყველა გადასახადის ჩათვლით. (დანართი 1–ის შესაბამისად)

3. ანგარიშსწორება

3.1 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება ეროვნულ ვალუტაში.
3.2. შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით.
3.3 მხარეთა შორის საანგარიშო პერიოდია ერთი კალენდარული თვე.
3.4. ანგარიშსწორება განხორციელდება წარდგენილი საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის საფუძველზე ათ საბანკო დღეში.

4. საქონლის მიწოდების პირობები

4.3. მიმწოდებელი ვალდებულია გადასცეს შემსყიდველს უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო საქონელი.

4.4. საქონლის საბოლოო მიწოდების პარალელურად, მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს თანმხლები დოკუმენტაციის, კერძოდ, საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურისა და სასაქონლო ზედნადების წარმოდგენა.

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1. შესყიდვის ობიექტის მიღება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტით, შემსყიდველისა და მიმწოდებლის საამისოდ უფლებამოსილი წარმომადგენლის ხელმოწერით.

5.2. ხელშეკრულების შესრულების კონტროლზე (ინსპექტირებაზე) და ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიღება-ჩაბარების აქტების გაფორმებაზე უფლებამოსილი პირია სააგენტოს დირექტორის მოადგილე ბადრი ნიაური.

5.3 მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებასთან ერთად, მიმწოდებელი ვალდებულია წარმოუდგინოს შემსყიდველს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაცია. წინააღმდეგ შემთხვევაში, შემსყიდველს უფლება აქვს უარი თქვას ანგარიშსწორებაზე

6. ანგარიშსწორების ფორმა, გრაფიკი (ვადები) და ადგილი

6.1 ანგარიშსწორება შემსყიდველის მიერ მოხდება საქონლის მიწოდებისა და აღნიშნულის თაობაზე მხარეთა შორის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 15 (თხუთმეტი) საბანკო დღის განმავლობაში.

6.2 ანაზღაურების ადგილია ქალაქი თბილისი.

7. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

7.1 შემსყიდველს უფლება აქვს:

- შეამოწმოს მიწოდებული საქონლის ხარისხის შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან.

7.2 შემსყიდველი ვალდებულია:

- მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;

– უზრუნველყოს დამონტაჟებული სიგნალიზაციის ექსპლუატაციის სწესების დაცვა;

– არ დაუშვას საგარანტიო პერიოდის განმავლობაში აპარატურის გადაკეთება ან შეკეთება დაცვის პოლიციის დეპარტამენტის წარმომადგენლის გარეშე.

- დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

7.3 მიმწოდებელს უფლება აქვს:

- მოსთხოვოს შემსყიდველს მიწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

7.4 მიმწოდებელი ვალდებულია:

– უზრუნველყოს დაცვითი სიგნალიზაციის სამონტაჟო–გასამართი სამუშაოები საკუთარი ინვენტარითა და სამუშაო ძალებით.

– გააცნოს შემსყიდველს დაცვითი–საგანგაშო სიგნალიზაციის სისტემის ექსპლუატაციის ინსტრუქცია;

საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს, საქონლის მიწოდების დღიდან საგარანტიო ვადის ექვსი თვის განმავლობაში გამოვლენილი ნაკლოვანებების აღმოფხვრა, თუ ისინი გამოწვეული არ არის არასწორი ექსპლუატაციით.

- შეტყობინების მიღებისთანავე საგარანტიო პერიოდის განმავლობაში (გონივრულ ვადაში) განახორციელოს წუნდებული საქონლის შეკეთება/შეცვლა შემსყიდველის მხრიდან დამატებითი დანახარჯების გაწევის გარეშე;

- დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

8. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას

8.1 მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

8.2 თუ ხელშეკრულების რომელიმე მხარე დაარღვევს წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებას, მაშინ ხელშეკრულების მეორე მხარეს შეუძლია მოითხოვოს ხელშეკრულების გასვლა ვალდებულების შესრულებისათვის მის მიერ დამატებით განსაზღვრული ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ (დამატებითი ვადის განსაზღვრისათვის გამოიყენება წერილობითი ფორმა). თუ ვალდებულების ხასიათიდან

გამომდინარე შეუძლებელია გამოყენებულ იქნას დამატებითი ვადა, მაშინ დამატებითი ვადის განსაზღვრას უთანაბრდება გაფრთხილება.

8.3 ხელშეკრულების მოშლისას მხარეს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას მიადგა მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობით.

8.4 ხელშეკრულების მოშლასთან და ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსი.

8.5 ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის ან ვალდებულების შესრულების ვადების დარღვევის შემთხვევაში, დამრღვევ მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა ვალდებულების შესრულების ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0.05%-ის ოდენობით, ხოლო, თუკი ადგილი აქვს ვალდებულების ნაწილობრივ შეუსრულებლობას, პირგასამტეხლო შეადგენს ვალდებულების შეუსრულებელი ნაწილის 0.05 %-ს.

8.6 იმ შემთხვევაში, თუკი მხარის მიერ გადასახდელი (მხარისათვის წინამდებარე ხელშეკრულების შესაბამისად დაკისრებული) პირგასამტეხლოს საერთო ღირებულება გადააჭარბებს ხელშეკრულების საერთო ღირებულების 5%-ს, მეორე მხარეს უფლება აქვს ცალმხრივად მოითხოვოს ხელშეკრულების მოშლა და მიყენებული ზიანის ანაზღაურება.

9. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

9.1. ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელის მოწერის დღიდან **2011 წლის 15 მაისის ჩათვლით,** ან მხარეთა მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების სრულ და ჯეროვან შესრულებამდე.

10. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა

10.1 წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კონმდებლობით დადგენილი წესით.

11. ფორს-მაჟორი

11.1. ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

11.2. ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

11.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან

12. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

12.1. ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

12.2. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

13. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

13.1. შემსყიდველი უფლებამოსილია საქონლის მიწოდების პარალელურად მოახდინოს მიწოდებული საქონლის შემოწმება, რომლის მიზანია მისი შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნებთან.

13.2. ხელშეკრულების ინსპექტირებას შემსყიდველის მხრიდან განახორციელებენ წინამდებარე ხელშეკრულების 5.2 მუხლში აღნიშნული პირი.

13.3. შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ შემსყიდველი დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს მიმწოდებელს დაწუნებული საქონლის რაოდენობისა და წუნდების მიზეზების მითითებით.

13.4. გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან და ხელახალ ინსპექტირებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

14. სხვა პირობები

14.1. მხარეები აუნაზღაურებენ ერთმანეთს მიყენებულ ზარალს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

14.2. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

14.3. მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

14.4. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ხუთ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან (ერთი პირი მიმწოდებელთან და ოთხი პირი შემსყიდველთან). ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

14.5. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმით იქნება შედგენილი და ხელმოწერილი

15. *მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები*

„შემსყიდველი“:

საჯარო სამართლის იურიდიული პირი
“საგანმანათლებლო და სამეცნიერო
ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო”
ს.კ. – 202294980
სახელმწიფო ხაზინა
ა/ა – 200122900
კოდი – 220101222
დირექტორის მოადგილე
ბადრი ნიაური

(ხელმოწერა)

ბ.ა.

„მიმწოდებელი“:

შსს სსიპ
დაცვის ორგანიზაციის მთავარი სამმართველო
ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-11 კმ.
ს.კ. 211350928
სს „ლიბერთი ბანკი“-ს ცენტრალური ფილიალი
კოდი LBRTGE22 ა/ა GE95LB0121158008584014

დაცვის ორგანიზაციის მთავარი სამმართველოს უფროსი
ბესიკ ბაჩიაშვილი

(ხელმოწერა)

ბ.ა.

ხარჯთაღრიცხვა

ხარჯთაღრიცხვის №	22/4-5253	მასალების ღირებ.	2742,69
ხელშეკრულების თარიღი	14.04.2011	მონტაჟი	0,00
ხელშეკრულების სტარტ თარიღი	14.04.2011	რენტაბელობა	0,00
ხელშეკრულების ვადა	14.05.2011		
ხელშეკრულების პროლონგაცია		დღგ	493,68
დამკვეთის საიდენტ. №	202294980	ხელშეკრულების თანხა	3236,37
დამკვეთის დასახელება	სსიპ საგნმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო		
დამკვეთის მისამართი	ქ. თბილისი, ალექსიძის ქ. №1, მე-2 სართული		
ხელისმომწერი	დირექტორის მოადგილე ბ. ნიაური		
დამკვეთის ანგარიშის №	200122900		
დამკვეთის ბანკისკოდი	220101222		

კოდი	დასახელება		ზომის ერთ.	რაოდენობა	ერთ. ფასი	თანხა
06/347/16	ელ.სადენი H05VV-F 2X2,5		მეტრი	5	1,53	7,63
06/377/06	საკონტროლო პანელი 16 ზონიანი	შპს	ცალი	1	164,62	164,62
06/400/43	კვების ბლოკი ESP-70-13,8	შპ	ცალი	1	41,53	41,53
06/400/47	კაბელი 04046 SSS0822	შპს "	მეტრი	500	0,36	177,97
06/400/48	კაბელი 04047 SSS1222	შპს "	მეტრი	200	0,60	120,34
06/400/51	აკუმულიატორი 12V4Ah	შპს	ცალი	1	1,00	1,00
06/400/58	საკაბელო არხი 20X12,5 10030CBR	შპს "	მეტრი	50	1,44	72,03
06/416/05	კლემა	შპს	ცალი	2	1,27	2,54
06/430	Screw 1000 unit შურუპები 3,5X25		კოლოფი	1	12,29	12,29
06/434/03	ტრანსფორმატორი 3 ამპ		ცალი	1	24,15	24,15
06/434/05	აკუმლატორი 12V 60Ah	შპს "რადა	ცალი	1	100,80	100,80
06/438/01	მინის მსხვრევის დეტექტორი	შპს	ცალი	25	44,07	1101,69
06/438/02	მოძრაობის დეტექტორი	შპ	ცალი	31	29,24	906,36
06/438/06	სირენა		ცალი	1	9,75	9,75

ხელისმომწერი

დირექტორის მოადგილე ბ. ნიაური

შემსრულებელი:

საქართველოს შსს

სსიპ - დაცვის პოლიციის დეპარტამენტის

დაცვის ორგანიზაციის მთავარი სამმართველოს

I სამმართველოს უფროსი

ბ. ლოლიაშვილი